

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე:
„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის
წესის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

რეგიონული განვითარება, თვითმმართველობის რეფორმის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და სრულყოფა, ქვეყნის განვითარების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს. რეგიონული განვითარების ზოგადად რეგიონულ მართვის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობა დღეისათვის ითვალისწინებს საქართველოს მთავრობაში რეგიონული მართვის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანამდებობას. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას და ტრანსპორტს, მოცემულ ეტაპზე, ინფრასტრუქტურის მართვა-განვითარება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ფუნქციას განეკუთვნება. საომარი მოქმედებების შედეგად ქვეყნის ინფრასტრუქტურისათვის მიყენებული ზიანის სწრაფად აღმოფხვრის, ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტური რეალიზების და გადაწყვეტილებათა ოპერატიულად მიღების აუცილებლობა, რეგიონული განვითარების მოთხოვნილებები, სპეციალიზირებული სამინისტროს შექმნას განაპირობებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი სამინისტროს – საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, შექმნა მიზნად ისახავს ახლადშექმნილი სამინისტროსთვის უფლებამოსილებების გადაცემას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის ემატება “ჰ” ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს სამინისტროების ჩამონათვალში გათვალისწინებული იქნება საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირობა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავების პროცესში წარმოებდა კონსულტაციები სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.